საქართველო

33572-01-2-201509041246

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/33572
04/09/2015

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

გიგზავნით საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩოდან მიღებულ ინფორმაციას 2015 წლის 22-24 ოქტომბერს დაგეგმილი რიგით მეორე კულტურის საერთაშორისო სასწავლო პროგრამის შესახებ თემაზე „საჯარო და კულტურული დიპლომატია კრიზისის დროს“.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტებს ან მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, ასევე ახალგაზრდა მკვლევარებს, კულტურის მენეჯერებსა და ახალგაზრდა დიპლომატებს. ყველა მონაწილისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა.

პროგრამა მიზნად ისახავს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა გაერთიანებას საჯარო და კულტურულ დიპლომატიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გასაზიარებლად. წლევანდელი ღონისძიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ევროკავშირის ფარგლებში არსებულ კრიზისთან დაკავშირებულ საკითხებსა და განვითარების შესაძლებლობებზე ევროპის უკეთესი მომავლისათვის. სასწავლო კურსი მოიცავს ხმელთაშუა ზღვის არეალსა და ევროპაში არსებულ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ თემებს.

კურსზე რეგისტრაციის მსურველებმა უნდა შეავსონ თანდართულ ინფორმაციაში მოცემული აპლიკაციის ფორმა და გააგზავნონ რეზიუმე ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: culture@hfc.gr. სურვილის შემთხვევაში, მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ, წარადგინონ საკუთარი აკადემიური ნაშრომი. კურსის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი და მათი ნაშრომები ელექტრონული სახით გამოქვეყნდება.

პროგრამაში მონაწილეობის ღირებულებაა 300 ევრო, რაც მოიცავს:

- როდოსის ცენტრთან ახლოს არსებულ სასტუმროში განთავსებას;
- საუზმე, ლანჩი და სადილი;
- ექსკურსია, კულტურული, სოციალური და არაფორმალური აქტივობები
- სასწავლო მასალები.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ დოკუმენტში მითითებული ვებ-გვერდის მეშვეობით: www. Hfc-worldwide.org

აპლიკაციების გაგზავნის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 სექტემბერი.

დანართი: 29 ფურცელი

პატივისცემით, ,
ირმა ქევხიშვილი

დეპარტამენტის დირექტორი

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი